საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

2022 წლის
იანვარი-დეკემბერი

საინფორმაციო ბიულეტენი

2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის განგრძობადი პროფესიული განვითარების პროგრამა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის 2020-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, განგრძობადი პროფესიული განვითარების პროგრამის მე-11 მუხლის თანახმად 2022 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა სავალდებული განგრძობადი პროფესიული განვითარების სისტემა.

აღნიშნული პროგრამა ადგენს, მედიატორებისთვის საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მედიატორთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის გაღრმავებას, მედიატორთა პროფესიული განვითარებისთვის. პროფესიული განვითარება განგრძობადი პროცესია, რომლის ფარგლებშიც მედიატორები ფოკუსირებას ახდენენ პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე, საკუთარი ძლიერი მხარეების თვითშემეცნებაზე და იმ სფეროების იდენტიფიცირებაზე, რა მიმართულებითაც მათ დამატებით ესაჭიროებათ გაუმჯობესება“.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში მედიაციის დანერგვის და ნდობის მოპოვების კუთხით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განვითარება. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად მზად არის შესაძლებლობის ფარგლებში იზრუნოს და ხელი შეუწყოს ასოციაციის წევრ მედიატორებს პროფესიულ განვითარებაში".

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქუთაისის უნივერსიტეტთან

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და „ქუთაისის უნივერსიტეტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს - მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას, შესაძლებლობის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება–განახლების პროცესში თანამშრომლობის უზრუნველყოფა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორმა გოჩა თუთბერიძემ.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის რეესტრს ახალი სერტიფიცირებული მედიატორები შემოუერთდა

10 თებერვალს, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი შეხვდა “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ახალ წევრებს, რომლებმაც სერტიფიცირების პროგრამის დებულების შესაბამისად გაიარეს სამ საფეხურიანი სერტიფიცირების პროგრამა და გახდნენ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები. სერტიფიცირების პროგრამის დებულების თანახმად სამ საფეხურიანი პროგრამა მოიცავს: 60 საათიან ტრენინგს, პრაქტიკულ უნარ ჩვევების შემოწმების ეტაპს და რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ ჩვევების შემოწმებას.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის„ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ასოციაციის ახალ წევრებს დაათვალიერებინა ასოციაციის ოფისი, გააცნო ორგანიზაციის ფუნქციები, სტრატეგია და სამომავლო გეგმები.

თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა და ახლად გაწევრინებულ მედიატორებს გააცნო 2022 წლიდან ამოქმედებული განგრძობადი პროფესიული განვითარების დებულება და მასთან დაკავშირებული დაგეგმილი აქტივობები.

შეხვედრის დასრულებისას ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ახლად გაწევრიანებულ მედიატორებს გადასცა მედიატორის მოწმობები და უსურვა წარმატება პროფესიულ საქმიანობაში!

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ქუთაისში ახლად ამოქმედებული მედიაციის ცენტრების მედიატორებს შეხვდა



14 თებერვალს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი და ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი თამარ იმნაიშვილი ქუთაისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული სასამართლო მედიაციის ცენტრების მედიატორებს შეხვდნენ, რომლებმაც სერტიფიცირების პროგრამის დებულების შესაბამისად გაიარეს სამ საფეხურიანი სერტიფიცირების პროგრამა და გახდნენ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები.სერტიფიცირების პროგრამის დებულების თანახმად სამ საფეხურიანი პროგრამა მოიცავს: 60 საათიან ტრენინგს, პრაქტიკულ უნარ ჩვევების შემოწმების ეტაპს და რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ ჩვევების შემოწმებას.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის„ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ასოციაციის ახალ წევრებს გააცნო ორგანიზაციის ფუნქციები, სტრატეგია და სამომავლო გეგმები. ახლად გაწევრიანებულ მედიატორებს მიეწოდათ ინფორმაცია 2022 წლიდან ამოქმედებული განგრძობადი პროფესიული განვითარების დებულების და მასთან დაკავშირებული დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს ირაკლი ყანდაშვილმა და თამარ იმნაიშვილმა ახლად გაწევრიანებულ მედიატორებს უსურვეს წარმატება პროფესიულ საქმიანობაში!

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ბაზაზე შექმნილი სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორთა მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა



17 თებერვალს შედგა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ბაზაზე შექმნილი სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორთა მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა.უახლოეს პერიოდში საქართველოს ყველა ტერიტორიულ ერთეულში მედიატორების მომსახურება ხელმისაწვდომი გახდება, კერძოდ, საქართველოს ყველა რაიონულ საქალაქო სასამართლოში, სწორედ აქედან გამომდინარე ახლად ამოქმედებული სასამართლო მედიაციის ცენტრების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ბაზაზე შეიქმნა მუდმივ მოქმედი საკოორდინაციო საბჭო.აღნიშნული პლატფორმის მიზანია ხელი შეეწყოს მედიაციის ცენტრების და წარმოდგენილი მედიატორების საქმიანობას და პროცესის ეფექტურ კოორდინაციას.

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს , სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარემ გიორგი მიქაუტაძემ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი გრატიაშვილმა, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გახსნეს სასამართლო მედიაციის ცენტრი.რეგიონალურ ჭრილში გადადგმული მედიაციის დანერგვის მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები უზრუნველყოფს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას ქვეყანაში.ასოციაცია მუდმივად ცდილობს საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მედიაციის ცენტრის გახსნა ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით.



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“მხარდაჭერითა და ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით დაარსდა კომერციული მედიაციის ეროვნული შეჯიბრი.

ღონისძიება გახსნეს ევროპის უნივერსიტეტის რექტორმა - ნინო ტალიაშვილმა, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის კომიტეტის თავმჯდომარემ სალომე ბეჟაშვილმა.

შეჯიბრის გამართვამდე შერჩეული მონაწილეები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ გადამზადებას მედიაციასა და მოლაპარაკების წარმოებაში, რომელსაც გაუძღვება პროექტის ხელმძღვანელი - სოფიო დუღაშვილი, რომელიც წარმოადგენს„ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს და ამავდროულად ევროპის უნვერსიტეტის მოწვეულ ლექტორს.

გადამზადების შემდგომ მონაწილეები დაიყოფიან გუნდებად, რომლებიც ერთმანეთს შეეჯიბრებიან გახსნით შეჯიბრში, ნახევარ-ფინალსა და ფინალში.

გუნდების დაკომპლექტება მოხდება სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისგან. შეჯიბრის შემფასებლები „მსაჯის“ სტატუსით იქნებიან „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“მედიატორები, მედიაციის სფეროში თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები, მედიაციაში წარმომადგენლობის გამოცდილების მქონე ადვოკატები/იურისტები.

შეჯიბრის თითოეულ ეტაპზე გუნდების შეფასებათა დაჯამებით მოხდება გამარჯვებულის გამოვლენა.

შეჯიბრის ბოლოს გამარჯვებულებს გადაეცემათ სპეციალური ჯილდოები,ხოლო ყველა მონაწილეს მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. პროექტის საუკეთესო მონაწილეებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ სტაჟირების პროგრამებში.

კომერციული მედიაციის ეროვნული შეჯიბრი

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ბოლონისში ახლად ამოქმედებული მედიაციის ცენტრის მედიატორებს შეხვდა

2 მარტს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი და ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი თამარ იმნაიშვილი ბოლონისის რაიონულ სასამართლოში გახსნილ მედიაციის ცენტრის მედიატორებს შეხვდნენ. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის„ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ასოციაციის ახალ წევრებს გააცნო ორგანიზაციის ფუნქციები, სტრატეგია და სამომავლო გეგმები. მედიატორებს მიეწოდათ ინფორმაცია 2022 წლიდან ამოქმედებული განგრძობადი პროფესიული განვითარების დებულების და მასთან დაკავშირებული დაგეგმილი აქტივობების შესახებ. შეხვედრის დასასრულს ირაკლი ყანდაშვილმა და თამარ იმნაიშვილმა მედიატორებს უსურვეს წარმატება პროფესიულ საქმიანობაში!

კომერციული მედიაციის ეროვნული შეჯიბრი წარმატებით დასრულდა



საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და „ევროპის უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ასოციაციის მიერ მხარდაჭერილი კომერციული მედიაციის ეროვნული შეჯიბრი წარმატებით დასრულდა. დაჯილდოების ღონისძიება გახსნა შეჯიბრის ხელმძღვანელმა სოფიო დუღაშვილმა, სტუდენტებს მისალოცი სიტყვით მიმართეს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა - მარიამ ზოჭორიშვილმა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა - თამარ იმნაიშვილმა. „საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობასთან აქტიური თანამშრომლობა. შეჯიბრის ფინალური გუნდების ყველა მონაწილეს ექნება შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში. ასოციაცია კიდევ ერთხელ ულოცავს თითოეულ მონაწილეს და უსურვებს წარმატებებს!

სამართლის სკოლა და შეჯიბრი მედიაციაში

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მხარდაჭერითა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia) ორგანიზებით უკვე მეორე წელია წარმატებით ხორციელდება სამართლის სკოლის შეჯიბრი მედიაციაში, რომლის მიზანია იურისტ სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებში მედიაციასთან დაკავშირებული როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება. შერჩეულ მონაწილეებს ერთი კვირის განმავლობაში მედიატორების მიერ უტარდებათ ლექცია-სემინარები მედიაციის შესახებ; აღნიშნული ღონისძიების მიზანია გააცნოს სტუდენტებს მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება.

სამართლის სკოლის დასრულების შემდგომ ყველა მონაწილე დაჯილდოვდება შეჯიბრში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატით, ხოლო პროექტის საუკეთესო მონაწილეები კი გაივლიან სტაჟირებას საქართველოს მედიატორთა ასოციციაში.

საკითხები, რომელთა განხილვა ხდება სამართლის სკოლის ფარგლებში:

- მედიაციის არსობრივ-პროცედურული მახასიათებლები, მედიატორის როლი;
- მედიაციის პროცესი;
- მედიაციის ეთიკური საფუძვლები და პრინციპები; მედიატორთა ეთიკის სტანდარტები და დისციპლინური წარმოების წესი;
- მედიაციის შესაბამისი ვერბალური კომუნიკაცია, ნდობის ჩამოყალიბება, აქტიური მოსმენის ტექნიკები, ემოციების გაზიარება.
- მედიაციის მნიშვნელობა ქართული სამართლის განვითარებაში, საქართველოს კანონი„მედიაციის შესახებ“. მედიაციის წარმოების ფორმები წარმომადგენლის როლი მედიაციაში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მედიაციით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობისთვის ხელშეწყობა!

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

,,საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“-სა და ,,მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია“-ს (SMEDA) შორის

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“-სა და „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია“-ს (SMEDA) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმი მიზნად ისახავს საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, ინსტიტუციური განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების დანერგვა/პოპულარიზაციას და მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის მედიაციის მექანიზმის ხელმისაწვდომობას.

მემორანდუმის ხელმოწერამდე სამუშაო შეხვედრაზე, მხარეებმა განიხილეს და დაგეგმეს მემორანდუმის ფარგლებში სხვადასხვა სამომავლო ერთობლივი აქტივობები, რომლებიც ხელშემწყობი იქნება მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის, მედიაციის მექანიზმის ინტეგრაციის კუთხით. შეხვედრის დასასრულს მემორანდუმს ხელი მოაწერეს სსიპ “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის“ (SMEDA)-ს აღმასრულებელმა დირექტორმა - გიგა ფაიქიძემ.

"საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“-ს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ” - ირაკლი ყანდაშვილმა და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, ინსტიტუციური განვითარებისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის აჭარის რეგიონში დანერგვა/პოპულარიზაციას და მედიაციის მექანიზმის ხელმისაწვდომობას. ასევე საზოგადოებაში სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების განხორციელებით მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. 2022 წლისთვის დაგეგმილია რეგიონულ ჭრილში ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრების გახსნა, რომლითაც შესაძლებლობა მიეცემა საზოგადოებას მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის გზით. აღსანიშნავია, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მხარს უჭერს როგორც აჭარის რეგიონში სასამართლო მედიაციის ცენტრების გახსნას ისე მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და დარგის განვითარების ხელშეწყობას

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი გაეროს განვითარების პროგრამის UNDP -ის მუდმივ წარმომადგენელს ნიკ ბერესფორდს შეხვდა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივ წარმომადგენელს ნიკ ბერესფორდს შეხვედრაზე გააცნო საქართველოში მედიაციის (როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის) მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაცია. შეხვედრაზე განიხილეს მედიაციის განვითარების განვლილი ეტაპები, სადაც ირაკლი ყანდაშვილმა ხაზი გაუსვა, იმ ფაქტს რომ უკანასკნელი ორი წელი გარდამტეხი ცვლილებების წლები იყო მედიაციისთვის - ამოქმედდა მედიაციის შესახებ საქართველოს კანონი, დაარსდა საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, შემუშავდა 2020-2025 წლების სტრატეგიული

განვითარების სამოქმედო გეგმა, მედიატორთა სერტიფიცირების წესი ევროპელი ექსპერტების ჩართულობით და რჩევების გათვალისწინებით, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP). ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციას აქვს წამყვანი როლი საქართველოში მედიაციის ინსტიტუციონალიზაციასა და განვითარებაში, მედიაციის პოლიტიკის წარმართვაში, ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთშეთანხმების კულტურის დამკვიდრებაში. ასოციაცია დაფუძნების დღიდან ზრუნავს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაზე და ხელს უწყობს მედიაციის პროფესიას, რომ გახდეს დარგი მეტად პოპულარული, პრესტიჟული და მოთხოვნადი, ხოლო მედიატორის სერვისის გამოყენება სანდო და ეფექტიანი. ირაკლი ყანდაშვილმა შეხვედრის დასასრულს მადლობა გადაუხადა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივ წარმომადგენელს ნიკ ბერესფორდს მედიაციის და ახლად დაფუძნებული „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის. ასოციაცია გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომი ერთობლივი თანამშრომლობისთვის.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ორგანიზებით დაიწყო მედიაციის/მედიატორის ტრენერთა ტრენინგი (TOT)

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ორგანიზებით დაიწყო მედიაციის/მედიატორის ტრენერთა ტრენინგი (TOT), ტრენინგის მხარდამჭერია USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამა.

ტრენინგის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა თამარ იმნაიშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა საქართველოში, ADR მიმართულებით მრჩეველმა სოფიო ტყემალაძემ.

ტრენინგი მიზნად ისახავს და შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს, გაიღრმაონ ცოდნა და გახდნენ მედიატორთა ასოციაციის აკრედიტირებული ტრენერები. მონაწილეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ტრენინგს შესაძლებლობა ექნებათ ჩაირიცხონ მედიატორთა ასოციაციის ტრენერთა ერთიან რეესტრში, სსიპ “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად. დღეის მდგომარეობით საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ტრენერთა ერთიან რეესტრში ფიქსირდება 20 აკრედიტირებული ტრენერი.ტრენინგი მიმდინარეობს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, რომელიც გაგრძელდება ოთხი დღის განმავლობაში.

ტრენინგი თემაზე "გენდერი და გენდერული ურთიერთობები"

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN WOMEN _ის მხარდაჭერით, უკვე მეორედ ჩატარდა მედიატორთა ასოციაციის მედიატორებისათვის "გენდერი და გენდერულ ურთიერთობებთან" დაკავშირებით ტრენინგი.

ღონისძიება გახსნა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, ხოლო ტრენინგს უძღვებოდა დონორი ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპერტი მამუკა გაჩეჩილაძე ღონისძიებაზე განხილულ იქნა სექსუალური შევიწროვების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაგირების ქვეყანაში არსებული მექანიზმები, აგრეთვე მეტად აქტუალური საკითხები, რომელიც ეხებოდა გენდერულ თანასწორობას, ადამიანის უფლებებს, გენდერულ პოლიტიკასა და მიდგომებს.

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა გორის რაიონულ სასამართლოში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარემ გიორგი მიქაუტაძემ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ შალვა კაკაურიძემ გორის რაიონულ სასამართლოში გახსნეს სასამართლო მედიაციის ცენტრი. რეგიონულ ჭრილში გადადგმული მედიაციის დანერგვის მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები უზრუნველყოფს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას ქვეყანაში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად ცდილობს საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება. გორის რაიონულ სასამართლოში მედიაციის ცენტრის გახსნა ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი აზერბაიჯანის მედიაციის საბჭოს თავმჯდომარეს ნადირ ადილოვს შეხვდა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარეს ირაკლი ყანდაშვილსა და აზერბაიჯანის მედიაციის საბჭოს თავმჯდომარეს ნადირ ადილოვს შორის გაცნობითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მხარეებმა ისაუბრეს როგორც საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული მედიაციის პროცესების და პერსპექტივების, ისე დავის რეგულირების ახალი მექანიზმის არსებული გამოწვევების და საჭიროებების შესახებ. შეხვედრაზე აღინიშნა მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რაც მიზნად ისახავს მედიაციის პოპულარიზაციის გაზრდას და კიდევ უფრო სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოში.

ასოციაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას მედიაციის სფეროში და გამოთქვამს მზადყოფნას აზერბაიჯანის მედიაციის საბჭოსთან შემდგომი ერთობლივი თანამშრომლობისთვის.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

სამუშაო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილის მონაწილეობით საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში სამუშაო შეხვედრა გაიმართა- **სასწავლო დაწესებულებებში მედიაციის, როგორც სასწავლო დისციპლინის დანერგვასთან დაკავშირებით.**

„დღეს მინისტრის პირველ მოადგილესთან ერთად, შევხვდით მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარეს ირაკლი ყანდაშვილს და განვიხილეთ ახალი ინსტიტუციის - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სწავლების დანერგვის საკითხი სკოლებში სამოქალაქო განათლების ფარგლებში, ვინაიდან ეს არის მნიშვნელოვანი მოქალაქეობრივი უფლება და ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ბავშვებმა ადრეული ასაკიდან იცოდნენ ამ ინსტიტუციის მნიშვნელობა“, - განაცხადა გიორგი ამილახვარმა შეხვედრის შემდეგ.

როგორც ირაკლი ყანდაშვილმა აღნიშნა, მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია, რომელიც კონფლიქტის მხარეებს საშუალებას აძლევს ურთიერთშეთანხმებით დაასრულონ დავა და შეთანხმება იყოს მათ ინტერესზე მორგებული. პროფესიონალი მედიატორები სწორედ ამაში ეხმარებიან დავის მხარეებს და მნიშვნელოვანია, რომ ამ ინსტიტუციას ადრეული ასაკიდანვე ეცნობოდნენ ჩვენი მოქალაქეები.„შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია მედიაციის, როგორც დისციპლინის სწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, რათა ჩვენ მივიღოთ მოქალაქე, რომელმაც ჯერ კიდევ სასწავლო მერხიდან იცის დავის გადაწყვეტის აღნიშნული მექანიზმის თაობაზე. ამით ჩვენ მოვახდენთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გამომდინარე იქიდან, რომ მომავალში მოქალაქეებს ეცოდინებათ დავის წარმოშობამდე თუ როგორ უნდა მართონ მათი კონფლიქტი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულების სწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში“.

შეხვედრას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ამილახვარი, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ტალიაშვილი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი.

შეხვედრის დასასრულს დაისახა გეგმები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება მოხდეს აღნიშნული დისციპლინის ინტეგრირება სასწავლო კომპონენტად.

ტრენინგი „პროფესიული უნარების განმტკიცებაში“ მედიატორებისთვის

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა თამარ იმნაიშვილმა უმასპინძლეს ავსტრიის საელჩოს წარმომადგენელს - ნიკა მაღრაძეს.

შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა სტუმარს გააცნო საქართველოში მედიაციის როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის გამოყენების, ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რაც მიზნად ისახავს მედიაციის პოპულარიზაციის გაზრდას და კიდევ უფრო სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოში.

შეხვედრის დასასრულს დაიგეგმა ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში სამომავლო ნაბიჯები.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მხარდაჭერით და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით, ქალაქ ბათუმში გაიმართა ოთხ დღიანი ტრენინგი „პროფესიული უნარების განმტკიცებაში“ მედიატორებისთვის.

ღონისძიება გახსნა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა საქართველოში, ADR მიმართულებით მრჩეველმა სოფიო ტყემალაძემ.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს მედიატორებმა ბოლნისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, რომლებიც სულ მალე დაიწყებენ სამედიაციო საქმიანობას თავიანთ ქალაქებში მოქმედ სასამართლო სამედიაციო ცენტრებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერით 2021-2022 წლებში გახსნა თბილისის სააპელაციო, ბოლნისის რაიონულ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში სასამართლო მედიაციის ცენტრები. ასევე იგეგმება სხვადასხვა რეგიონში სასამართლო მედიაციის ცენტრების გახსნა,მათ შორის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის.

ტრენინგი „პროფესიული უნარების განმტკიცებაში“ მედიატორებისთვის.

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის მემორანდუმი გაფორმდა

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის" თავმჯდომარემ, გიორგი რომანაძემ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, ინსტიტუციური განვითარებისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით, ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას ისახავს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, როგორც აჭარის რეგიონში დანერგვა/პოპულარიზაციის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ასევე, მედიაციის მექანიზმის გამოყენების ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი იქნება.

„მედიაციის გამოყენების პროცესში არსებული ტენდენციები, რისკები და შესაძლებლობები“



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა თამარ იმნაიშვილმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში ***„მედიაციის გამოყენების პროცესში არსებული ტენდენციები, რისკები და შესაძლებლობები“.***

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ორასამდე სხვადასხვა ქვეყნის მედიაციის სფეროს წარმომადგენლები. კონფერენციის ერთ-ერთ პანელში წარმოდგენილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი როგორიც არის „მედიაციის შესახებ სინგაპურის კონვენციის ეროვნულ კანონმდებლობაში ინტეგრირება.

პანელში ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა მონაწილეებს გაუზიარა საქართველოში არსებული მედიაციის პრაქტიკა და ისაუბრა სინგაპურის კონვენციის კანონმდებლობაში ინტეგრირებაზე.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს შორის გაიმართა თემატური დისკუსია და მოხდა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მედიაციის პრაქტიკის გაზიარება. „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მუდამ მზად არის საქართველოში მედიაციის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ითანამშრომლოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში.

საჯარო ლექცია თემაზე: „მედიაცია - დავის ეფექტურად რეგულირების ახალი შესაძლებლობა“

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საჯარო ლექცია გამართა უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, თემაზე: „მედიაცია - დავის ეფექტურად რეგულირების ახალი შესაძლებლობა“.

შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა ისაუბრა მედიაციის განვითარების ეტაპებზე, აღნიშნული ინსტიტუტის ადგილსა და როლზე სამართლის სისტემაში, საქართველოში არსებულ იმ გამოწვევებზე, რომლებიც მედიაციის სრულფასოვნად დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული.

შეხვედრა ინტერაქციულ ხასიათს ატარებდა. დასასრულს კითხვა-პასუხის რეჟიმში დისკუსია გაიმართა. დამსწრეებს შესაძლებლობა მიეცათ დეტალურად გასცნობოდნენ მედიაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

რეგიონალური კონფერენცია - „ინვესტიციები და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები ენერგეტიკის სექტორში“

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - სოფიო დუღაშვილმა მონაწილეობა მიიღო რეგიონალურ კონფერენციაზე - „ინვესტიციები და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები ენერგეტიკის სექტორში“, რომელიც გაიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) ორგანიზებით. სოფიო დუღაშვილმა მონაწილეებს გაუზიარა პრეზენტაცია თემაზე: „მედიაცია - არბიტრაჟის ალტერნატივა“ და ისაუბრა მედიაციის ქართულ მოდელზე და მის უპირატესობებზე, დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან მიმართებაში.ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს შორის გაიმართა პანელური დისკუსია დავის გადაწყვეტის მექანიზმების წარმატებული პროცესის სტრატეგიებზე, სადაც სოფიო დუღაშვილმა გაამახვილა ყურადღება მედიატორთა პროფესიული ეთიკური ვალდებულებების მნიშვნელობასა და გამოწვევებზე. „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მუდამ მზად არის საქართველოში მედიაციის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ითანამშრომლოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა კონფერენციაში.

ADR თემაზე ორგანიზებული სასწავლო ვიზიტი დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი იმყოფებოდა ADR თემაზე ორგანიზებული სასწავლო ვიზიტით დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, რომელიც განხორციელდა გლობალური საქართველოს ქსელის მიერ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამასთან თანამშრომლობით.

აღნიშნულ ვიზიტში საქართველოდან ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და მოსამართლეები. სასწავლო ვიზიტის პირველი ნაწილი გაიმართა დუბლინში, ირლანდიაში. მონაწილეები ესტუმრნენ ირლანდიაში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციას Glencree-ს,რომელიც მუშაობს ინდივიდებთან და ჯგუფებთან კონფლიქტის გარდაქმნაზე, შერიგების პრაქტიკის დანერგვაზე, ჯანსაღი თემთაშორისი ურთიერთობების შექმნასა და მდგრადი მშვიდობის უზრუნველყოფაზე.

სასწავლო ვიზიტის მეორე ნაწილი, გაიმართა გაერთიანებულ სამეფოში, ლონდონში, დელეგატები ესტუმრნენ დავის ეფექტური გადაწყვეტის ცენტრს CEDR-ს.შეხვედრას უძღვებოდა კომერციული დავების ხელმძღვანელი რიჩარდ ნუნი. ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: მედიაცია, როგორც სერვისის მიწოდების პროცესი, მედიაციის პროპორციული ღირებულება ქეისებთან მიმართებით, ადვოკატის როლი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესში, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მედიაციის ფართოდ დანერგვის საჭიროებას ქვეყანაში, რაც განაპირობებს მართლმსაჯულების კიდევ უფრო ეფექტიან ხელმისაწვდომობას. დელეგატებმა ინფორმაცია მიიღეს შრომითი დავების მოგვარებისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების შესახებ დასაქმებულთა უფლებების, დისკრიმინაციისა და უთანასწორობის კონტექსტში. ასოციაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომლითაც ხელი ეწყობა მედიაციის დარგის განვითარებას საქართველოში

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

გაცნობითი სამუშაო შეხვედრა ქუთაისის საქალაქო, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებსა და ქუთაისის მედიაციის ცენტრის მედიატორებს შორის

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა გაცნობითი სამუშაო შეხვედრა ქუთაისის საქალაქო, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებსა და ქუთაისის მედიაციის ცენტრის მედიატორებს შორის.

შეხვედრაზე განხილულ იქნა მედიაციის წინაშე არსებული გამოწვევების და საჭიროებების შესახებ საკითხები, ასევე ხაზი გაესვა იმ უპირატესობებს რომლებიც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ საკუთარი ინტერესების სწრაფი და ეფექტური რეალიზაცია. ასევე მოსამართლეებმა და მედიატორებმა გაუზიარეს მოსაზრებები სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს მედიაციის დარგის პოპულარიზაციას საზოგადოებაში. „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მოხარულია მოსამართლეთა აქტიური ჩართულობით მსგავს ღონისძიებებში, რაც განაპირობებს სასამართლო მედიაციის წარმატებულ ფუნქციონირებას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

ტრენინგი - "დისტრიბუციული და ინტეგრაციული მოლაპარაკება მედიაციის პროცესში"

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ და USAID_ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი- "დისტრიბუციული და ინტეგრაციული მოლაპარაკება მედიაციის პროცესში"/ “Distributive and Integrative Negotiation in Mediation Practice, რომელსაც წარუძღვა ვილდაუს უნივერსიტეტის პროფესორი, მედიატორი, ექსპერტი გრეგ ბონდი.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 32-მა მედიატორმა, რომელიც მიმდინარეობდა როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე, ტრენინგი მიზნად ისახავდა მედიატორის როლის, მედიაციის პროცესის თავისებურებების სტილის და სხვადასხვა მეთოდების უფრო ღრმად გაცნობას, ასევე ხაზი გაესვა მხარეთა ინტერესების და საჭიროებების გამოკვეთის ფუნდამენტურ საჭიროებას მედიაციის მსვლელობისას.

ტრენინგის მეორე ნაწილი დაეთმო მედიატორებს შორის გამოცდილებების გაზიარებას, მონაწილეებმა გამართეს დისკუსია და მონაწილეობა მიიღეს ექსპერტის მიერ შედგენილ პრაქტიკულ სავარჯიშოებში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

პროექტი

„გაიცანი მედიატორი“









ხათუნა ღია სანიკიძე
„მედიაცია არის სადაო სიტუაციების უფრო ეკონომიური, სწრაფი და მდგრადი მოგვარების საშუალება და რაც მთავარია არის სრულიად კონფიდენციალური და კანონიერი“


თათია ქვრივიშვილი
„მედიაცია მხარეებს საშუალებას აძლევს თავად აკონტროლონ შედეგი და თავად იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები. მედიატორის როლი კი მოლაპარაკების პროცესის ეფექტიან წარმართვაში ვლინდება“

მაღონა ნიკოლაიშვილი
„წარმატებად მივიჩნევ როცა დავა ეხება ბავშვების საუკეთესო ინტერესებს და მედიაციის საშუალებით, მორიგების აქტით ვაღწევთ შეთანხმებას“

კობა მეგანიშვილი
„ერთ-ერთ სამედიაციო საქმეზე შვაქეი მხარეების შერიგება. რომელსაც ერთმანეთთან 13 წლიანი სამეზობლო დავა აქვნდათ და 3 სხვადასხვა სარჩელის წარდგენები დავობდნენ. ეს არის მედიაციის უპირატესობა“

ნინო მაჩაიძე-ღოღიძე
„მედიაციაში არ არსებობს წაგებული და მოგებული მხარე. მედიაცია არის კონფიდენციალური და ნებაყოფლობითი, რაც ძალიან ხშირად მხარეებისთვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს“

ნათია ჩიტაშვილი
„მედიაცია არის პირადი თვითიდენტობისა და სხვისი განსხვავებულობის თანაარსებობის კულტურა, თავისუფალი საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს პასუხისმგებლიანი არჩევანი“

ელენე ორჯონიკიძე
„მედიაცია დავის გადაწყვეტის სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, რომელიცაა სასამართლო და არბიტრაჟი, მხარეთა თვითმგამრკვევის პროცესია. აქ მხარეები ილებენ გადაწყვეტილებებს თავიანთი ინტერესების შესაბამისად და მათ ხელშია დავის საბოლოო შედეგები“

სოფიო ჩაჩავა
„მე მჯერა, რომ მშვიდობიან კეთილგანწყობილ გარემოში საუბარი, მოსმენას და მოლაპარაკებას არ აქვს ალტერნატივა“






სოფიო ღულაშვილი
„რაც უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობს
ურთიერთობაში, მით უფრო მაღალია
საკრისპირო ეფექტის ჩამოყალიბების
ალბათობა. მედიაციის გზით მხარეები თავს
აერიდებენ დროში გაჭიანურ სასამართლო
პროცესებს, ზოგავენ დროს, ხარჯებს და
იღებენ სასურველ შედეგს"


ხათუნა ფურცელიანი
„პროცესში გადაწყვეტილებას არ იღებს
არანაირი მესამე მხარე.
გადაწყვეტილებას დავის დასრულების
თაობაზე, სასამართლოს გარეშე,
აუფორმებენ გარეშეოები იღებენ
მხოლოდ და მხოლოდ მოდავე მხარეები"



ვეკო ღოღაშვილი
„ეფექტიანი კომუნიკაცია და მედიაცია დავის გადაწყვეტის საუკეთესო ალტერნატივაა და მორიგების მილწევის თუ მიუღწევლობის მიუხედავად, წარმატებაა, რომა სამედიაციო პროცესის შემდგომ მხარეები თავს უკეთ გრძნობენ“

სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის დონორი ორგანიზაციის გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის მხარდაჭერით წარმატებით განხორციელდა მედიატორების გაცნობითი კამპანია - “გაიცანი მედიატორი“ რომლის მიზანს წარმოადგენდა ერთის მხრივ წარმოჩენილ ყოფილიყო თავად მედიატორი და მეორეს მხრივ მედიაციის მნიშვნელობა.

მედიატორების მხრიდან ძალიან საინტერესოდ წარმოჩინდა მედიაციის მნიშვნელობა და საჭიროება.

ინსტიტუციური აკრედიტაცია

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ სერტიფიცირების პროგრამის დებულების შესაბამისად, მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით პირველად გაიცა ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელიც მოიპოვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულ ცენტრმა (NCADR).

აღნიშნული ინსტიტუცია უფლებამოსილია წლის განმავლობაში შეუზღუდავად უზრუნველყოს მედიაციის/მედიატორის ტრენინგი. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია წარმატებას უსურვებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულ ცენტრს.

აკრედიტაციის მოპოვების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ დაწესებულებას/ორგანიზაციას, რომელთა მიერ შეთავაზებული მედიაციის/მედიატორის ტრენინგის სტანდარტი მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.

გაცნობითი სამუშაო შეხვედრა რუმინეთის სახელმწიფოს ელჩთან საქართველოში, ბატონ რეზვან როტუნდუსთან

მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა გამართა მედიაციის შესახებ (როგორც დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმის საქართველოში), გაცნობითი სამუშაო შეხვედრა, რუმინეთის სახელმწიფოს ელჩთან საქართველოში ბატონ, რეზვან როტუნდუსთან.

შეხვედრაზე მხარეთა მიერ განხილულ იქნა სამომავლო პერსპექტივაში თანამშრომლობის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც რუმინეთის მოქალაქეებს და ბიზნესებს წარმოდგენილს საქართველოში დავის არსებობის შემთხვევაში მიეწოდებათ ინფორმაცია მედიაციის მექანიზმის თაობაზე.შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მედიაციის იმ უპირატესობებს, რომლითაც დავის მონაწილე მხარეებს ეძლევათ უალტერნატივო შესაძლებლობა მოახდინონ საკუთარი ინტერესების სწრაფად და ეფექტიანად რეალიზება სწორედ მედიაციის გამოყენებით. შეხვედრის დასასრულს დაიგეგმა კონკრეტული ნაბიჯები და სამომავლო ერთობლივი ინიციატივები.

სსიპ “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ” - ირაკლი ყანდაშვილმა

და

ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს დირექტორმა მარინა ბერაძემ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ერთობლივი “პრო ბონო” პროექტის განხორციელებას, ინსტიტუციური განვითარებისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას, ასევე საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული
მექანიზმის ხელმისაწვდომობას.

ერთობლივი აქტივობების განხორციელება მიზნად ისახავს საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

აღნიშნული თანამშრომლობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მედიაციის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

იურიდიული პროფესიების განვითარების ფორუმი

შვედური ინსტიტუტის Swedish Institute Alumni Network დაფინანსებით და საქართველოში შვედეთის საელჩოს Embassy of Sweden in Tbilisi მხარდაჭერით, საქართველოში შვედეთის კურსდამთავრებულთა ქსელის ორგანიზებით ჩატარდა იურიდიული პროფესიების განვითარების ფორუმი.

სხვადასხვა ინსტიტუციებთან ერთად ფორუმზე მიწვეული გახლდათ - სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, როგორც ქსელის პარტნიორი ორგანიზაცია. ღონისძიება მიზნად ისახავდა იურიდიულ პროფესიებში ბოლო პერიოდის მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების შედეგად არსებული მდგომარეობის და სამომავლო პერსპექტივების გაანალიზებას და აგრეთვე იურიდიულ პროფესიებში ევროპული სტანდარტების დანერგვის და ევროინტეგრაციის პროცესში მოსალოდნელი სიახლეების შეფასებას.

ღონისძიება გახსნა საქართველოში შვედეთის ელჩმა ბატონმა ულრიკ თიდესთრომი, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფორუმის მონაწილეებს. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ სახელით ფორუმს ეწრებოდა ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - სოფიო დუღაშვილი, რომელმაც ისაუბრა ასოციაციის მხრიდან ბოლო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ სიახლეებსა და გამოწვევებზე მედიაციის მიმართულებით.ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს შორის გაიმართა დისკუსია სასწავლო დაწესებულებების და პროფესიული გაერთიანებების ინტერესების დაახლოვებისა და შემდგომში საერთო აქტივობებისთვის ნიადაგის მომზადებისათვის.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მუდამ მზად არის საქართველოში მედიაციის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ითანამშრომლოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ფორუმებსა თუ კონფერენციებში.

ტრენინგი თემაზე: "ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“





„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ , რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს მოსახლეობის ფონდი ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ. ღონისძიება გახსნა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, ხოლო ტრენინგს უძღვებოდა დონორი ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპერტი იზა კასრელიშვილი. ღონისზიებაზე განხილულ იქნა სექსუალური შევიწროების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაგირების ქვეყანაში არსებული მექანიზმები, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ინიცირებით და მხარდაჭერით საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ერთად შემუშავდა QR კოდი.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია დაფუძნების დღიდან სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით ზრუნავს საზოგადოებაში აამაღლოს ცნობიერება მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების გამოყენების შესახებ და შესთავაზოს საზოგადოებას ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას მოემსახურება.

იმისათვის, რომ უფრო გამარტივდეს მოქალაქეებისათვის მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ინიცირებით და მხარდაჭერით საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ერთად შემუშავდა QR კოდი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მარტივად დასკანერების შემთხვევაში მიიღოს მოქალაქემ ამომწურავი ინფორმაცია მედიაციის შესახებ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ძალზედ მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ასევე სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა. . სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერით შეიქმნა არაერთი სასამართლო მედიაციის ცენტრი სასამართლოების ბაზაზე. აღნიშნული სამედიაციო ცენტრების გახსნა ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით“

აღნიშნული QR კოდის გამოყენება პირველად, პილოტურ რეჟიმში განხორციელდება რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერით ეტაპობრივად სიახლე დაინერგება სხვადასხვა სასამართლო მედიაციის ცენტრებში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარია მოქალაქეს გადასცემს მიღების ბარათს რომელზეც დატანილი იქნება მედიატორთა ასოციაციის QR კოდი, რომლის დასკანერების შემთხვევაში მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა, ერთი მხრივ გაიგოს ინფორმაცია მედიაციის შესახებ და მეორე მხრივ აღნიშნული კოდი გამოიყენოს საქმის მედიატორისთვის გადაცემის მიზნიდან გამომდინარე მედიატორის შესარჩევად.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მიესალმება მსგავსი ინოვაციური მიდგომების დანერგვას , რომელიც ხელშემწყობი იქნება საქართველოში მედიაციის დარგის განვითარების!

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

სახელმძღვანელოს - „პრაქტიკული სახელმძღვანელო კერძო მედიაციაში“ და გზამკვლევის- „მედიატორთა დისციპლინური წარმოება“ პრეზენტაცია.

24 ოქტომბერს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისთვის, ონლაინ ფორმატში გაიმართა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ პარტნიორი დონორი ორგანიზაციის ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შემუშავებული სახელმძღვანელოს - „პრაქტიკული სახელმძღვანელო კერძო მედიაციაში“ და გზამკვლევის- „მედიატორთა დისციპლინური წარმოება“ პრეზენტაცია.

აღნიშნული ღონისძიება გახსნა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა.

„მედიატორთა დისციპლინური წარმოება“ გზამკვლევი-ის პრეზენტირება მოახდინა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეთიკის საკითხებში ექსპერტმა თამარ ხუბულურმა.„პრაქტიკული სახელმძღვანელო კერძო მედიაციაში“ პრეზენტირება მოახდინა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მოქმედმა მედატორმა ქ-ნ თამარ მორჩილაძემ.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მიესალმება ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს ერთი მხრივ საზოგადოებაში მედიაციის ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, და მეორე მხრივ მედიატორებისათვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.



საერთაშორისო პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ასოციაციის მხარდაჭერით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლასა და მის პარტნიორ ორგანიზაციების ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია ევროკავშირის პროექტი ერასმუს+ ფარგლებში მედიაცია: ტრენინგი და სოციალური ტრანსფორმაცია.

ღონისძიებაში მონაწილე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანმა ირაკლი ფოფხამელ და ნიდერლანდების ბიზნეს აკადემიის რექტორმა იან ვან ზვიეტენმა. ღონისძიება გაიმართა პანელურ დისკუსიის რეჟიმში, რომელიც დასრულდა ნიდერლანდების ბიზნეს აკადემიის წარმომადგენლების ვორქშოფით: მედიაციაში პრაქტიკული უნარების შესახებ ქართველი მედიატორებისთვის.

პანელური დისკუსიის პირველი ნაწილი, რომელსაც მოდერირებას უწევდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი, დაეთმო თემას, საქართველოში მედიაციის განვითარებას და შედარებითი ტენდენციებს უკრაინაში, აზერბაიჯანში და ევროკავშირში. აღნიშნულ პანელში მონაწილეობა მიიღეს მედიატორმა მარიონ კუიპერსმა ნიდერლანდების ბიზნეს აკადემიის წარმომადგენელმა და ალიდა მაჰმუდოვმა აზერბაიჯანის ხაზარის უნივერსიტეტის მედიაციის პრინციპების ინსტრუქტორმა. პანელური დისკუსიის პირველი ნაწილი დასრულდა საერთაშორისო თანამშრომლობით - მემორანდუმის გაფორმებით საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და ნიდერლანდების მედიაციის ფედერაციას შორის.

პანელური დისკუსიის მეორე ნაწილს - სასამართლოების როლი მედიაციის განვითარებაში, მოდერირებას უწევდა Caissa Law-ის მმართველი პარტნიორი, მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უჩა ძიმისტარიშვილი, ხოლო აღნიშნულ თემაზე მოხსენება წარმოადგინეს - დოქტორმა ნათია ჩიტაშვილმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და ლაშა კალანდაძემ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრმა, დავის ეფექტური გადაწყვეტის ცენტრის (CEDR) საერთაშორისო აკრედიტებულმა მედიატორმა და ყოფილმა მოსამართლემ. პანელური დისკუსიის მესამე ნაწილი დაეთმო საგანმანათლებლო დაწესებულებების როლს მედიაციის განვითარებაში, რომელსაც მოდერირებას უწევდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი დავით მაისურაძე. აღნიშნულ პანელში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა და მედიატორებმა, მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანმა და მედიატორმა ანა ხურციძემ, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა მედიატორმა სოფიო ჩაჩავამ და ზათუმის შოთა რუსთაველის სახელობის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ლევან ჯაყელმა.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მიესალმება და მხარს უჭერს მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას. ამგვარი ღონისძიებების განხორციელებით და სხვადასხვა ქვეყნებს შორის გამოცდილი პრაქტიკის გაზიარებით ხელი ეწყობა ერთის მხრივ მედიატორებში კვალიფიკაციის ზრდას და მეორეს მხრივ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია” USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ახორციელებს „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” ინსტიტუციური გაძლიერების და მედიაციის განვითარების პროექტს.

USAID ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ
USAID RULE OF LAW PROGRAM

აღნიშნული პროექტი შედგება 6 ძირითადი მიმართულებისგან, რომელთა წარმატებით განხორციელებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისთვის.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით გამართა შეხვედრა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ახალ წევრებთან, რომელიც ემსახურებოდა მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა და მოდერირება გაუწია სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა.ღონისძიებაზე განხილულ იქნა მედიაციასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის მედიაცია და მედიაციის უპირატესობები, ადვოკატის როლი მედიაციაში და სხვა. ღონისძიება მიმდინარეობდა საინტერესო დისკუსიის ფორმატში, რომელშიც ჩართული იყო თითოეული მოწვეული სტუმარი.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მიესალმება ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს ერთი მხრივ საზოგადოებაში მედიაციის ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, და მეორე მხრივ მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერებას

ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ , რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს მოსახლეობის ფონდი ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ , რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს მოსახლეობის ფონდი ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ.

ღონისძიება გახსნა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, ხოლო ტრენინგს უძღვებოდა დონორი ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპერტი მამუკა გაჩეჩილაძე.

ღონისზიებაზე განხილულ იქნა სექსუალური შევიწროების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაგირების ქვეყანაში არსებული მექანიზმები, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებს

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ორგანიზებით ონლაინ ფორმატში ასოციაციის წევრებისთვის გაიმართა „ემოციური ინტელექტის საბაზისო ტრენინგი მედიატორებისთვის“



საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ორგანიზებით ონლაინ ფორმატში ასოციაციის წევრებისთვის გაიმართა „ემოციური ინტელექტის საბაზისო ტრენინგი მედიატორებისთვის“.

მისასალმებელი სიტყვით ტრენინგი გახსნა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა.

ტრენერად მოწვეული იყო და მას უძღვებოდა სამართლის დოქტორი, პიროვნული განვითარების ტრენერი, ერიქსონის საერთაშორისო სკოლის სერთიფიცირებული - ქოუჩი ქეთევან ირემაშვილი.

აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა, მედიატორებს ჩაეთვლებათ განგრძობადი პროფესიული განვითარების სავალდებულო კრედიტებში.ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ ნაწილს. ტრენინგის პირველი ნაწილი დაეთმო თეორიულ საკითხებს, როგორიც არის შესავალი ემოციურ ინტელექტში: ემოციური ინტელექტი, როგორც კონკურენტული უპირატესობა, ემოციური ინტელექტის დეფინიცია და მისი პრაქტიკული გამოყენების თავისებურებები, თვითშემეცნების ხაზი, გაცნობიერების ძალა, ხოლო ტრენინგის მეორე ნაწილი დაეთმო ჯგუფური ქოუჩინგის სესიას და პირადი მიზნების დამუშავებას, რომელიც ჩატარდა ინდივიდუალურად კონფიდენციალურობის დაცვით. მონაწილეებმა აირჩიეს და დაამუშავს ერთი კონკრეტული მიზანი მათი პირადი, პიროვნული განვითარების/პროფესიული ცხოვრების სფეროებიდან; ტრენინგი მიმდინარეობდა ინტერაქტიულ რეჟიმში, რომლის დასასრულს განხორციელდა მედიატორთა გამოცდილების გაზიარება და ემოციური ინტელექტის მნიშვნელობის ხაზგასმა მედიატორებისთვის.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად მზად არის შესაძლებლობების ფარგლებში ხელი შეუწყოს მედიატორთა პროფესიულ განვითარებას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში



საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა პრობონო პროექტში ჩართული თანამშრომლების გადამზადება მედიაციის საკითხებში. შეხვედრას უძღვებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, დოქტორი ნათია ჩიტაშვილი და ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს დირექტორი მარინა ბერაძე. შეხვედრა, მიმდინარეობდა დისკუსიის ფორმატში, სადაც განხილულ იქნა მედიაციის დარგში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები. მომხსენებელმა მედიატორმა ნათია ჩიტაშვილმა ასევე მონაწილეებს გაუზიარა მედიაციის წარმართვის პროცესში არსებული პრაქტიკა და გამოწვევები. შეგახსენებთ, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და „ჩემი ადვოკატი“-ს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ერთობლივი “პრო ბონო” პროექტის განხორციელებას, ინსტიტუციური განვითარებისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით.

განხორციელდა პრობონო პროექტში ჩართული თანამშრომლების გადამზადება მედიაციის საკითხებში

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის მორიგი სამუშაო შეხვედრა

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც თავმჯდომარეობდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ირაკლი ყანდაშვილი.

საკომიტეტო მოსმენის ძირითად საკითხს წარმოადგენდა მედაიციის ინსტიტუტის ანალიზი სხვადასხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე, ევროპულ ქვეყნებში არსებული გამოწვევები მედიაციის პროცესის წარმოების სტადიაზე.

შეხვედრის დასასრულს კომიტეტის წევრებმა განიხილეს და განსაზღვრეს სამომავლო საქმიანობის გეგმები.

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა თელავის რაიონულ სასამართლოში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარემ გიორგი მიქაუტაძემ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მარინე ცერცვაძემ თელავის რაიონული სასამართლოში გახსნეს სასამართლო მედიაციის ცენტრი.

რეგიონულ ჭრილში გადადგმული მედიაციის დანერგვის მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები უზრუნველყოფს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას ქვეყანაში. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად ცდილობს საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება.

თელავის რაიონულ სასამართლოში მედიაციის ცენტრის გახსნა ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის ირაკლი ყანდაშვილის პრაქტიკული სახელმძღვანელოს - "მედიაცია - დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება" -ის პრეზენტაცია

28 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ლექტორის ირაკლი ყანდაშვილის პრაქტიკული სახელმძღვანელოს - "მედიაცია - დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება" -ის პრეზენტაცია.

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სახელმძღვანელოს ავტორმა ირაკლი ყანდაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს ვინც სახელმძღვანელოს შექმნაში შეიტანა წვლილი.

ღონისძიებაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი თამარ ზარანდია, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი.

წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოსამართლეები, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წარმომადგენლები და მედიატორები, ადვოკატთა ასოციაციის წევრები, უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები, ასევე წიგნით დაინტერესებული სხვა პირები.

ღონისძიების დასასრულს წიგნის ავტორმა ირაკლი ყანდაშვილმა, მოწვეულ სტუმრებს პირადი ავტოგრაფით საჩუქრად გადასცა სახელმძღვანელოები

ტრენინგი "გენდერი და გენდერული ურთიერთობები

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და პარტნიორი დონორი ორგანიზაციის UN Women Georgia-ს მხარდაჭერით ასოციაციის წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგი "გენდერი და გენდერული ურთიერთობები". ტრენინგი პროექტის "ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" ნაწილია, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს მოსახლეობის ფონდი ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ"

ღონისძიება გახსნა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, ხოლო ტრენინგს უძღვებოდა დონორი ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპერტი მამუკა გაჩეჩილაძე.

ღონისზიებაზე განხილულ იქნა სექსუალური შევიწროების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაგირების ქვეყანაში არსებული მექანიზმები, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებს

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარემ გიორგი მიქაუტაძემ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მარინე ცერცვაძემ თელავის რაიონულ სასამართლოში გახსნეს სასამართლო მედიაციის ცენტრი.

რეგიონულ ჭრილში გადადგმული მედიაციის დანერგვის მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები უზრუნველყოფს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას ქვეყანაში. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად ცდილობს საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება.

თელავის რაიონულ სასამართლოში მედიაციის ცენტრის გახსნა ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მხარდაჭერით გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტსა და ასოციაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ცენტრი გაიხსნა.

მედიაციის ცენტრი საზეიმო ცერემონიალით გახსნეს და მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მოწვეულ სტუმრებს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა; გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორმა მამუკა თავხელიძემ; საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თორნიკე ჭეიშვილმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა და იუსტიციის უმაღლესის სკოლის დირექტორმა ვანო ბოლქვაძემ.

ცენტრის ფუნქციონირება და საქმიანობა პირველ რიგში დაეხმარება გრუნის სტუდენტებს, მედიაციის სალექციო კურსის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განიმტკიცონ; ასევე, ცენტრის დახმარებით მედიაციისა და არბიტრაჟის მეცნიერულად შესწავლის მიზნით, განხორციელდება სამეცნიერო კვლევები, შემუშავდება კანონპროექტები, დაიგეგმება ერთობლივი დისკუსიები, შეჯამდება შედეგები, განვითარდება თანამშრომლობა საერთაშორისო ექსპერტებთან და წამყვან სპეციალისტებთან. მთელი ეს პროცესი კი სტუდენტების მაღალი ჩართულობით წარიმართება.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტია რომელმაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სამართლის აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, სავალდებულო სასწავლო დისციპლინის სტატუსით დაამკვიდრა, მედიაციის სასწავლო კურსი.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" მოხარულია აღნიშნული ნოვაციით, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის პოპულარიზაციას ხოლო სტუდენტებს უდავოდ საინტერესო გამოცდილებას შესძენს.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მხარდაჭერით გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტსა და ასოციაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ცენტრი გაიხსნა.

სპეციალიზებული კურსი „ბავშვთა უფლებებში"



მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მიმდინარეობს სპეციალიზებული კურსი „ბავშვთა უფლებებში" მოქმედი მედიატორებისათვის, რომელსაც „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" პარტნიორი დონორი ორგანიზაციის გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF)_ის მხარდაჭერით ახორციელებს.

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, ხოლო ტრენინგს უძღვება მოწვეული ექსპერტი მაია ბაქრაძე.

მნიშვნელოვანია რომ ბავშვთა უფლების კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ განხილვის პროცესში მხოლოდ სპეციალიზებულ პირებს აქვთ უფლება ჩაერთონ სამედიაციო პროცესში,როგორც მედიატორები,შესაბამისად ტრენინგის გავლის შემდგომ მედიატორს მიენიჭება დამატებითი სპეციალიზაცია ბავშვთა უფლებებში, რაც საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული კატეგორიის სამედიაციო საქმეებში.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაცია” მადლობას უხდის გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF)_ის აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაცია” გააგრძელებს ყველა დაინტერესებული მედიატორის სწავლებას აღნიშნული სპეციალიზაციის მიხედვით, რათა პროფესია პასუხობდეს საზოგადოების საჭიროებებს ბავშვის უფლებათა კოდექსის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნებისთვის საქართველოში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი საქართველოში ევროკავშირის ელჩს პაველ ჰერჩინსკის შეხვდა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა გაცნობითი სამუშაო შეხვედრა გამართა საქართველოში ევროკავშირის ელჩთან პაველ ჰერჩინსკთან.

შეხვედრაზე საქართველოში ევროკავშირის ელჩს ბატონ პაველ ჰერჩინკს, ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა გააცნო საქართველოში მედიაციის როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის გამოყენების, ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რაც მიზნად ისახავს მედიაციის პოპულარიზაციის გაზრდას და კიდევ უფრო სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოში.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ უპირატესობებს,რომლებიც დავის მონაწილე მხარეებისთვის უალტერნატივოა, რათა მათ მოახდინონ საკუთარი ინტერესების სწრაფი და ეფექტური რეალიზაცია სწორედ მედიაციის გამოყენებით.

შეხვედრის დასასრულს მხარეთა მიერ განხილულ იქნა ერთობლივი სამომავლო ინიციატივები და დაიგეგმა მათ შორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმატი .

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ და "სოლიდარობის ცენტრი, საქართველო" -ს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

სსიპ “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ” - ირაკლი ყანდაშვილმა და “სოლიდარობის ცენტრი,საქართველო”-ს დირექტორმა ბატონ ტრისტან მასატმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს დარგის პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას, ასევე საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ხელმისაწვდომობას.

ერთობლივი აქტივობების განხორციელება მიზნად ისახავს საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

აღნიშნული თანამშრომლობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მედიაციის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

1 დეკემბერს, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერების და მედიაციის განვითარების პროექტის“ ფარგლებში გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

სპეციალიზებული კურსი „ბავშვთა უფლებებში“

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სპეციალიზებული კურსი „ბავშვთა უფლებებში“ მოქმედი მედიატორებისათვის, რომელსაც „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ პარტნიორი დონორი ორგანიზაციის გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF)_ის მხარდაჭერით ახორციელებს.

მნიშვნელოვანია რომ ბავშვთა უფლების კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ განხილვის პროცესში მხოლოდ სპეციალიზებულ პირებს აქვთ უფლება ჩაერთონ სამედიაციო პროცესში, როგორც მედიატორები,შესაბამისად ტრენინგის გავლის შემდგომ მედიატორს მიენიჭება დამატებითი სპეციალიზაცია ბავშვთა უფლებებში, რაც საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული კატეგორიის სამედიაციო საქმეებში.

12 დეკემბერი, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერების და მედიაციის განვითარების პროექტის“ ფარგლებში მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა შეხვედრა

მედიაციის კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის „მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის” მხარდაჭერით, მოსამართლეებთან გამართა მრგვალი მაგიდის ფორმატში სამუშაო შეხვედრა.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR მიმართულებით მრჩეველმა - სოფიო ტყემალაძემ.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა და ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებმა. შეხვედრაზე ასევე მოწვეული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი.

სამუშაო შეხვედრაზე იუსტიციის სამინისტროს,სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსმა ირინა წაქაძემ და მოწვეულმა მოსამართლეებმა ვიოლეტა ფორჩხიძემ, თინა ვაშაყმაძემ, ეკატერინე ელიაძემ, უჩა თოდუამ და სალომე გველესიანმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხებოდა სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს; სამედიაციო პროცესის მიზნებისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხის შემდგომი რეგულირების პერსპექტივებს და ეთიკური სახდელის გასაჩივრების პროცესუალურ რეგულირებას.

შეხვედრა დასრულდა შემაჯამებელი დისკუსიით და დაიგეგმა მედიაციის კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ისეთი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერებას.

მედიაციის კვირეულის ფარგლებში “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა სამუშაო შეხვედრა გამართა “ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ დირექტორთან დავით ებრალიძესთან, შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ფოთის თიზ-ის წარმომადგენლები

მხარეებმა განიხილეს სამომავლო პერსპექტივაში თანამშრომლობის ფორმატი და ის განსახორციელებელი ერთობლივი პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმის გაცნობას ბიზნეს სექტორისთვის.

POTI FREE INDUSTRIAL ZONE

14 დეკემბერს, მედიატორის პროფესიის დღეს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში ახლად გაწევრიანებულ მედიატორთა ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა

15 დეკემბერს, მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რიგით მე-2 ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი- „მედიაცია იურისტებისთვის“

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

16 დეკემბერს, მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის მე-2 ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი- „მედიაცია ბიზნესისთვის“

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

17 დეკემბერს, მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერების და მედიაციის განვითარების პროექტის ფარგლებში მედიატორებს შორის გამოცდილების გაზიარება

USAID ს.ა.ა.-ის ეგიდით

18 დეკემბერს, მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა მე-2 ყოველწლიური მედიაციის ინტერდისციპლინური ფორუმი „მედიაცია საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივები“

USAID ს.ა.ა.-ის ეგიდით

სამუშაო შეხვედრა კონკურენციის სააგენტოში - მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მედიაციის კვირეულის ფარგლებში კონკურენციის სააგენტოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

ღონისძიება გახსნეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს" თავმჯდომარემ ირაკლი ლექვინაძემ.

შეხვედრა დისკუსიის, კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, რომელსაც მედიატორთა ასოციაციის წევრები და კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე მონაწილეებმა იმსჯელეს - მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ძირითად ვალდებულებებზე, კანონისმიერ გარანტიაზე, უსამართლო კომერციულ საქმიანობაზე და მომხმარებლის უფლებების დაცვის ინსტიტუციურ გარანტიებზე. მათ შორის ხაზი გაესვა , მედიაციის როგორც დავის ალტერნატიული მექანიზმის როლს და აღნიშნულ პროცესში ეფექტიან თანამშრომლობას.

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა აჭარის რეგიონში, ქ. ბათუმში

სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერით, კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა აჭარის რეგიონში, ქ. ბათუმში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ბაზაზე.

სასამართლო მედიაციის ცენტრი გახსნა "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ჯუმბერ ბეჟანიძემ და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ამირან მესხიშვილმა.

რეგიონულ ჭრილში გადადგმული მედიაციის დანერგვის მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები უზრუნველყოფს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას ქვეყანაში. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად ცდილობს საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება.

აჭარის რეგიონში, ქ.ბათუმში მედიაციის ცენტრის გახსნა ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით.